საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი

ბრძანება № 505

თბილისი „30" 11 2018 წ.

„ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის" დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 11 იანვრის N24 ბრძანებით დამტკიცებული „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის" ფარგლებში ჩასატარებელი ანიმაციური ვიდეო რგოლების კონკურსის - „გაცოცხლებული სურათები" გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N468 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ა", „თ", „ლ" და „რ" ქვეპუნქტების საფუძველზე და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილის 2018 წლის 29 ნოემბრის N1530481 მოხსენებითი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის" დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 11 იანვრის N24 ბრძანების პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტით დამტკიცებული „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის" (პროგრამული კოდი 32 02 13) ფარგლებში გამოცხადდეს ნიკო ფიროსმანის გარდაცვალებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ანიმაციური ვიდეო რგოლების კონკურსი - „გაცოცხლებული სურათები".

2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო პირობები დამტკიცდეს ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.

3. დაევალოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სტრატეგიული კომუნიკაციის დეპარტამენტს ამ ბრძანების გამოქვეყნება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

მიხეილ ბატიაშვილი

დანართი

„ზოგადი განათლების ხელშეწყობის პროგრამის“ დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 11 იანვრის N24 ბრძანებით დამტკიცებული „სასკოლო კონკურსების ქვეპროგრამის“ ფარგლებში ჩასატარებელი ანიმაციური ვიდეო რგოლების სახელწოდებით „გაცოცხლებული სურათები“ კონკურსის საკონკურსო პირობების დამტკიცების შესახებ

ნიკო ფიროსმანის გარდაცვალებიდან 100 წლის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო (შემდგომში სამინისტრო), საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეებისთვის აცხადებს ანიმაციების კონკურსს „გაცოცხლებული სურათები“. კონკურსის ფარგლებში მოსწავლეები შექმნიან ანიმაციურ ვიდეო რგოლებს, რომლებშიც გააცოცხლებენ ნიკო ფიროსმანის ნახატებს. კონკურსის მიზანია მოსწავლეებში შემოქმედებითი და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების უნარების გამოვლენა/განვითარება.

კონკურსის პირობები:

- კონკურსში მონაწილეობას მიიღებენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები ორ ასაკობრივ კატეგორიაში: პირველი კატეგორია - VII-IX კლასის მოსწავლეები და II კატეგორია X-XII კლასის მოსწავლეები;
- მოსწავლემ უნდა შექმნას ანიმაციური ვიდეო რგოლი, რომელშიც გააცოცხლებს ნიკო ფიროსმანის ნახატებს;
- ანიმაციური ვიდეო რგოლის შექმნისას შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ციფრული თუ სხვა ტიპის უკვე არსებული რესურსი, ასევე მოსწავლეების მიერ თავად შექმნილი ნახატები;
- მოსწავლეებმა უნდა მოიძიონ ფიროსმანის ბიოგრაფიიდან ისტორიები და მათ მიხედვით შეიმუშაონ ანიმაციური ვიდო რგოლის სიუჟეტი;
- ვიდეო რგოლი უნდა იყოს გახმოვანებული/გაფორმებული მუსიკალურად;
- ვიდეო რგოლების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 3 წუთს;

კონკურსის ლოჯისტიკა:

- სასკოლო ტურს ორგანიზებას უწევს სკოლის ადმინისტრაცია (მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის საკონკურსო პირობების და ვადების გაცნობა, კომისიის დაკომპლექტება და მისი მუშაობის დაოქმება, კონკურსის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, არაუმეტეს 2 საუკეთესო ნაშრომის გამოვლენა). შედეგად, სკოლა გამოვლენს არაუმეტეს 2 საუკეთესო ნაშრომს, რომლებიც (CD-ზე ჩაწერილი) უნდა წარადგინოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ტერიტორიულ ორგანო - შესაბამის საგანმანათლებლო რესურსცენტრში (შემდგომში რესურსცენტრი);
- საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით დახარისხებულ საკონკურსო ვიდეო რგოლებს (CD-ზე ჩაწერილი) წარადგენს სამინისტროში:

ოფიციალური წერილით (e-flow-ს საშუალებით) სამინისტროს მიაწოდებს კონკურსში მონაწილე სკოლების ჩამონათვალსა და ინფორმაციას კონკურსში ჩართული მოსწავლეების რაოდენობის შესახებ, ხოლო საკონკურსო ნაშრომებს წარმოადგენს მატერიალური სახით სამინისტროში;

- დასკვნით ტურში გამარჯვებულებს გამოავლენს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცებული კომისია.

საკონკურსო ნაშრომების შეფასების საორიენტაციო კრიტერიუმები:

- კონკურსის პირობებთან შესაბამისობა;
- ანიმაციური ვიდეო რგოლების შესრულების ტექნიკური მხარე;
- ინდივიდუალობა, ორიგინალური ხედვა (ანიმაციის მხატვრული მხარე, მუსიკალური გაფორმება, სიუჟეტი და სხვ.);
- სიუჟეტი;
- ჩანაფიქრის და მუსიკალური გაფორმების შესაბამისობა.

გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ შექმნილი კომისია განიხილავს საკონკურსო ნაშრომებს და გამოავლენს გამარჯვებულებს შემდეგნაირად:

I ასაკობრივ კატეგორიაში (VII-IX კლასები) – I, II, და ორი III ადგილზე გასული ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და 700 ლარის (I ადგილი), 600 ლარის (II ადგილი), 500 ლარის (ორი III ადგილი) ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებით;

II ასაკობრივ კატეგორიაში (X-XII კლასები) – I, II, და ორი III ადგილზე გასული ნამუშევრების ავტორები დაჯილდოვდებიან დიპლომებითა და 700 ლარის (I ადგილი), 600 ლარის (II ადგილი), 500 ლარის (ორი III ადგილი) ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათებით;

<u>ჟიურის ნომინაციები:</u>

1. ჟიურის რჩეული - დიპლომითა და 700 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათით;
2. ორიგინალური იდეა - დიპლომითა და 600 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათით;
3. ახალგაზრდა ანიმატორი - დიპლომითა და 400 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათით;
4. საუკეთესო სიუჟეტი - დიპლომითა და 300 ლარის ღირებულების კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების სასაჩუქრე ბარათით;

კომისია უფლებამოსილია, საკონკურსო მასალების შესრულების ხარისხიდან გამომდინარე, რომელიმე ზემოაღნიშნულ საპრიზო ადგილზე არ წარადგინოს გამარჯვებული.

პლაგიატის შემთხვევაში (მაგალითად, ინტერნეტ სივრცეში არსებული ან აქამდე შექმნილი ანიმაციური ვიდეო რგოლი) ნაშრომი არ განიხილება.

ვადები:

- სასკოლო ტურის ორგანიზება, გამარჯვებულების გამოვლენა, გამარჯვებული საკონკურსო ნამუშევრების შესაბამის რესურსცენტრში წარდგენა - არაუგვიანეს 2018 წლის 17 დეკემბრისა;
- რესურსცენტრების მიერ სამინისტროსთვის საკონკურსო ნაშრომების მიწოდება - არაუგვიანეს 2018 წლის 20 დეკემბრისა;
- სამინისტროში შექმნილი კომისიის მიერ გამარჯვებულების გამოვლენა - არაუგვიანეს 2018 წლის 31 დეკემბრისა.

	ბიუჯეტი	
	დანახარჯის სახე	მთლიანი ოდენობა
N	I ასაკობრივი კატეგორია	
1	I ადგილი	700
2	II ადგილი	600
3	III ადგილი	500
4	III ადგილი	500
	II ასაკობრივი კატეგორია	
5	I ადგილი	700
6	II ადგილი	600
7	III ადგილი	500
8	III ადგილი	500
	ჟიურის ნომინაციები	
9	ჟიურის რჩეული	700
10	ორიგინალური იდეა	600
11	ახალგაზრდა ანიმატორი	400
12	საუკეთესო სიუჟეტი	300
	ჯამი	6,600.00